ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
გარემოს დაცვისა და ბუნებრივი
რესურსების სამმართველო

G E O R G I A
Directorate for Environment and
Natural Resources of
Ajara Autonomous Republic

6010, ქ. ბათუმი, ვახტანგ გორგასალის ქ. №124
№ 124, Vakhtang Gorgasali st., Batum, 6010

ტელ: (0422) 27 35 91 ფაქსი: (0422) 27 35 90
Tel: (0422) 27 35 91 Fax: (0422) 27 35 90

N 08/427
21/07/2022

427-08-2-202207211715
https://edocument.ge/AdjaraGov/public

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს წევრს
ბატონ გია აბულაძეს

ბატონო გია,

თქვენი 2022 წლის 1 ივლისის N09-02-16/401 წერილის პასუხად გაცნობებთ:

1. გარემოს დაცვისა და ბუნებრი რესურსების სამმართველოს მიერ ბათუმის აეროპორტის ასაფრენ ბილიკთან, ასევე გამწმენდი ნაგებობების მოპირდაპირედ განხორციელებული ნაპირსამაგრი სამუშაოები მიმდინარეობდა ეტაპობრივად, 2012 და 2014-2015 წლებში. მისი საერთო ღირებულება შეადგენს 6 903 672,98 ლარს.

ნაპირსამაგრი სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებები და მიღება-ჩაბარების აქტები დანართის სახით თან ერთვის წერილს;

2. გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს მიერ 2011 წლიდან 2015 წლამდე განხორციელებული სანაპირო ზოლის ხელოვნური კვების სამუშაოების საერთო ღირებულება შეადგენს 2 121 054,97 ლარს, ხოლო სანაპირო ზოლზე შეტანილი ინერტული ნატანის საერთო ოდენობა - 370 400 კბ.მ-ს.

წარმოგიდგენთ სანაპირო ზოლის ხელოვნური კვების სამუშაოების შესახებ ინფორმაციას წლების მიხედვით:

წელი	ჩაყრილი ინერტული მასალის მოცულობა (კბ.მ.)	სამუშაოების საერთო ღირებულება	სამუშაოების შემსრულებელი კომპანიის მონაცემები	
			დასახელება	საიდენტიფიკაციო კოდი
2011	100 000	419 985,00	შპს ,,გზა“	245 525 132
2012	50 000	283 000,00	შპს ,,რალი კონტინენტალი“	245 582 944
2013	50 000	484 817,08	შპს ,,კავკასენერგო“	404 922 063

2013	50 000	248 480,00	შპს ,,მეგა სერვის ცენტრი“	202 429 942
2013	9 200	49 186,39	შპს ,,მეგა სერვის ცენტრი“	202 429 942
2013	21 200	92 587,50	შპს ,,მეგა სერვის ცენტრი“	202 429 942
2014 - 2015	90 000	542 999,00	ინდ. მეწარმე ,,დავით სიჭინავა“	19 001 004 820

რაც შეეხება გარემოს დაცვისა და ბუნებრი რესურსების სამმართველოს მიერ 2022-2023 წლებში სანაპირო ზოლის ხელოვნური კვების სამუშაოების განხორციელების დაგეგმვას, აღნიშნული სამუშაოების გათვალისწინებული იქნა ქალაქ ბათუმის მერიის 2022 წლის 22 თებერვლის N14-1422053198 წერილის, ასევე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2022 წლის 2 მარტის N15 განკარგულებითა და მასში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2022 წლის 30 მაისის N34 განკარგულებით შეტანილი ცვლილების საფუძველზე.

თქვენი კორესპონდენციით მოთხოვნილი სხვა ინფორმაცია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება - გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოში არ მოიპოვება.

დანართი: 61 ფურცელი.

პატივისცემით,

ჯემალ ნაკაშიძე

სამმართველოს უფროსი